12
მარტი

სამშაბათი,
1963 წ.
№ 50 (2155)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

„კავკასიონი ალპები არაა“...

ნ. თენსინგი თბილისში

კვირას, 10 მარტს, თბილისში ჩამოვიდა ცნობილი შერპი მთასვლელი, ჯომოლუნგმას (ევერესტ-ს) გმირი თენსინგი ნორგეი. თბილისის აეროდრომზე მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო დედაქალაქის ალპინისტურმა საზოგადოებრიობამ.

დღის 5 საათზე თენსინგი მოწვეული იქნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში. აქ გამოჩენილ მთასვლელს კვლავ შეხვდნენ რესპუბლიკის ალპინისტები, პრესისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სტუმარს აჩვენეს ქართული დოკუმენტური ფილმები „შვიდი მწვერვალის იერიში“ და „კიდევ ერთხელ პამირზე“, რომლებიც მაყურებელს მოუთხრობენ ჩვენი მთასვლელების შესანიშნავ ასვლებსა და ტრავერსებზე პამირის მთიანეთში. თენსინგი დიდის გულისყურით უყურებდა ამ ფილმებს. შემდეგ, როცა მას უჩვენეს მესამე დოკუმენტური ფილმი — „სვანეთი“, ნ. თენსინგი გამოცოცხლდა. ის ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოს ამ ერთ-ერთი წარმტაცი კუთხის, მაღალმთიანი სვანეთის დიდებულ პეიზაჟებს, აქაური სოფლების სპეციფიკურ პანორამას, მოსახლეობის განახლებულ ყოფას. როცა კადრები მწკრივად გაწყობილი სვანი კოლმეურნე-მთიბავების მუშაობას წარმოადგენდნენ, თენსინგმა ხმამაღლა წამოიძახა: „ზუსტად ისევე, როგორც ჩვენთან.. ჩვენც ასე ვთიბავთ“.

თენსინგის განსაკუთრებული ინტერესი სვანეთისადმი გამოწვეული იყო იმით, რომ იგი, როგორც ცნობილია, იალბუზზე ლაშქრობდა გამოჩენილ ქართველ მთასვლელებთან, მესტიელ ი. კახიანთან, მ. ხერგიანთან, ჯ. კახიანთან და სხვებთან ერთად, რომლებსაც იგი დაუმეგობრდა.

შემდეგ დემონსტრირებულ იქნა ფილმი, რომელიც ჩამოიტანა თენსინგმა. ეს ფილმი წარმოადგენს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ჯომოლუნგმას დალაშქვრას, რომელშიც თვითონ მონაწილეობდა.

დასასრულ, ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვა მისცა თენსინგს.

კითხვა: როგორ მიმდინარეობდა თქვენი ახლანდელი ლაშქრობა იალბუზზე?

პასუხი: იალბუზზე მივაღწიეთ მხოლოდ ე. წ. თერთმეტის თავშესაფრამდე (4200 მეტრი). საშინელი უამინდობის გამო ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით უკან დავბრუნებულიყავით.

კითხვა: როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე კავკასიონმა?

პასუხი: დაე, ნუ მიწყენენ მე ალპების თაყვანისმცემელნი, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა: კავკასიონი ალპები არაა. გაცილებით უფრო მრისხანე, ძნელად დასაპყრობი და ზვიადი მთიანეთია, რომელიც ყოველმხრივ ღირსეულ მიზანს წარმოადგენს რომელიც გნებავთ მთასვლელისათვის, როდესაც მე სამშობლოში ჩავალ, აუცილებლად გადავცემ თანამემამულეებს, რომ მსოფლიოში არსებობს კიდევ ერთი ბუმბერაზი მთათა მასივი, რომელიც ძალიან ჰგავს ჰიმალაის. და რომ ეს კავკასიონია. ბუნებრივია ისიც, რომ მის მწვერვალებთან ჭიდილში აღიზარდნენ ალპინიზმის პირველხარისხოვანი ოსტატები, კერძოდ, სახელგანთქმული ქართველი მთასვლელები, რომლებმაც არაერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს კავკასიონზე და პამირის მთებშიც.

კითხვა: როგორია თქვენი მომავლის გეგმები? აპირებთ თუ არა კიდევ მონაწილეობას რომელიმე ალპინისტურ ლაშქრობაში?

პასუხი: ჩემი უახლოესი ლაშქრობა დაგეგმილია. საბჭოთა კავშირში ამ დაუვიწყარი ვიზიტის შემდეგ მე უნდა გავემგზავრო ავსტრალიაში ზუსტად ისეთივე ვიზიტით, როგორითაც აქ, თქვენს ქვეყანაში. რაც შეეხება წმინდა ალპინისტურ მოღვაწეობას, ჩემი 49 წლის ასაკში იგი უკვე შემოფარგლულია მხოლოდ აღმზრდელობითი საქმიანობით. ჩემს სამშობლოში მე ვხელმძღვანელობ მთასვლელთა სკოლას და ვცდილობ არ დავიშურო გამოცდილება, ენერგია, მთელი შესაძლებლობანი კარგი მთასვლელების აღსაზრდელად. რაიმე მნიშვნელოვან ალპინისტურ ექსპედიციაში უშუალო მონაწილეობას კი აღარ ვაპირებ.

ბოლოს ნ. თენსინგმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი მიღებისათვის.

* * *

სურათებზე: თენსინგი ავტოგრაფებს აძლევს თბილისელ ალპინისტებს, ქვევით — სხედან თენსინგი და ა. ჯაფარიძე, დგანან — ი. გიპერნეიტერი და საქართველოს ალპინისტური ფედერაციის თავმჯდომარე ო. გიგინეიშვილი (მარჯვნივ).

ბ. სამოროდოვს — ოქროს მედალი

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ყინულზე მოტოციკლებით რბოლაში (500 კბ სმ კლასის მანქანებისათვის).

პირველი დღის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობდა მოსკოველი სპორტის ოსტატი ვ. კუზნეცოვი (15 ქულა). მას ერთი ქულით ჩამორჩებოდა უფელი ბ. სამოროდოვი. მესამე ადგილზე იყო ვ. ნერიტოვი (მოსკოვი).

ძირითადი ბრძოლა ოქროს მედლისათვის მეორე დღეს ამ სამ სპორტსმენს შორის გაიმართა. ერთხანს წინ კვლავ ვ. კუზნეცოვი იყო, მაგრამ შემდგომში მას გადაასწრო ბ. სამოროდოვმა, რომელმაც მოიპოვა კიდეც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. კუზნეცოვი, ხოლო მესამეზე — ვ. ნერიტოვი.

სტოკჰოლმის ყინულზე

შვეციის დედაქალაქის ყინულის ასპარეზზე გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. მესამე და მეოთხე ტურის შეხვედრებში ფავორიტებმა ჩაიწერეს მორიგი გამარჯვებები. კანადამ დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 11:5, ჩეხოსლოვაკიამ — ამერიკის შეერთებული შტატები — 10:1.

მეოთხე ტურში დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. მათ 15 შაიბა გაიტანეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰოკეისტთა კარში და მიიღეს მხოლოდ 3. ჩეხოსლოვაკიამ დაამარცხა გდრ — 8:3, ხოლო შვეციამ ანგარიშით 4:0 მოუგო ფინეთს.

ქუთაისელთა გამარჯვება

სუხუმი. ქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია საკონტროლო მატჩმა ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს შორის.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს თამაში და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

გასულ კვირას მოსკოვში შედგა მეოთხედფინალური შეხვედრა ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მოსკოვის „დინამოსა“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონ „დინამოს“ ქალთა გუნდებს შორის. მოსკოველებმა მატჩი „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოიგეს და ახლა განმეორებით მატჩს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩაატარებენ. ეს მატჩი შედგება 16 მარტს, ბერლინში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и
организаций Грузинской ССР и Грузинского
республиканского совета профсоюзов

წინასაოლიმპიადო რეპეტიცია ტოკიოში

იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლის 11-16 ოქტომბერს ტოკიოში მოაწყოს XVIII ოლიმპიური თამაშების „გენერალური რეპეტიცია“, რომელსაც საერთაშორისო სპორტულ წრეებში მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით იაპონიაში სულ უნდა ჩამოვიდეს 350 კაცი, რომელთა შორის იქნებიან მხოლოდ უმაღლესი კლასის, საერთაშორისო ხარბიელზე ცნობილი სპორტსმენები და მწვრთნელები. ეს საერთო ციფრი უკვე ლიმიტირებულია სახეობათა მიხედვით.

მძლეოსნობა (40 სპორტსმენი) — გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, იტალია, შვეიცარია, სსრ კავშირი, იუგოსლავია. შეჯიბრება ჩატარდება იაპონიის ეროვნულ ჩემპიონატთან ერთად.

აკადემიური ნიჩბოსნობა (18 სპორტსმენ). ქვეყნები ჯერ არაა დადგენილი.

კალათბურთი (12 სპორტსმენი). ამერიკის შეერთებული შტატები.

კრივი (10 სპორტსმენი). ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, სსრ კავშირი.

კანოე (6 სპორტსმენი). გერმანია.

ველოსპორტი (10 სპორტსმენი). გერმანია, საფრანგეთი, იტალია.

ფარიკაობა (12 სპორტსმენი). ქვეყნები ჯერ არაა დადგენილი.

ფეხბურთი (19 სპორტსმენი). გერმანია ან შვეცია. —

ტანვარჯიში (14 სპორტსმენი). სსრ კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

სიმძიმეების აწევა (7 სპორტსმენი). ამერიკის შეერთებული შტატები.

ბალახის ჰოკეი (18 სპორტსმენი). გერმანია ან ინდოეთი.

ძიუ-დო (8 სპორტსმენი). საფრანგეთი, ჰოლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები.

ჭიდაობა (16 სპორტსმენი). სსრ კავშირი, თურქეთი.

ცურვა (35 სპორტსმენი). ავსტრალია, ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია. შეჯიბრება ჩატარდება იაპონიის ეროვნულ ჩემპიონატთან ერთად.

თანამედროვე ხუთჭიდი (4 სპორტსმენი). შვეცია, ამერიკის შეერთებული შტატები.

ცხენოსნობა (4 სპორტსმენ). ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი.

სროლა (10 სპორტსმენი). სსრ კავშირი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები.

ფრენბურთი (24 სპორტსმენი). სსრ კავშირი (ვაჟები), ჩეხოსლოვაკია (ქალები).

წყალბურთი (11 სპორტსმენი). უნგრეთი.

საიალქნო სპორტი (7 სპორტსმენი). არგენტინა, დანია.

ოლიმპიადის ტრიუმფატები

საქართველოს III სპარტაკიადის მზადების დღეებში უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებას!

III სპარტაკიადა 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა ავანგარდში ახალგაზრდობა

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის საკონდიტრო კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც თავისი შექმნის პირველსავე დღიდან მჭიდრო კავშირი დაამყარა კომბინატის მუშა-ახალგაზრდობასთან.

ხშირად ნახავთ აქ კომბინატის მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს, რომლებიც ნაყოფიერი შრომის შემდეგ ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩოგბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში. ტარდება კომბინატის პირადი და გუნდური პირველობები საამქროებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში. გასულ წელს ამ კოლექტივში მომზადებულ იქნა ერთი სპორტის ოსტატი, 6 პირველთანრიგოსანი, 10 მეორე და 45 მესამეთანრიგოსანი. 40-მა კაცმა ჩააბარა მშთ-ს ნორმები, მომზადებულ იქნა საზოგადოებრივი კადრები: მწვრთნელები, მსაჯები, ფიზორგები და სხვ.

კომბინატის სპორტსმენები ხშირად იღებენ მონაწილეობას სარაიონო და საქალაქო ღონისძიებებში. გასულ წელს კომბინატის კალათბურთელებმა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ პირველობაზე თავიანთ ჯგუფში I ადგილი დაიკავეს, ხოლო ფეხბურთელებმა — მეორე.

კომბინატის ახალგაზრდობის ინიციატივით აგებულ იქნა კომპლექსური მოედანი, რამაც საშუალება მისცა აქაურ სპორტსმენებს საკუთარ ბაზებზე აიმაღლონ ოსტატობის დონე.

მეგობრობაა დამყარებული კომბინატის ახალგაზრდობასა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს შორის.

კომბინატის ახალგაზრდობის ამოცანაა მიაღწიონ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს შრომასა, სწავლასა და სპორტში.

გ. ნაცვალაძე,
კომბინატის მეთოდისტი,
თ. გაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: ახლახან ექსპლოატაციაში შესული კომბინატის სპორტული მოედანი.

საჭიროა მეტი მონდომება

სპორტის განვითარების, ახალგაზრდა სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები.

ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის (კათედრის გამგე ლ. გაჩავა) მუშაობის შესახებ. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აკადემიის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდება სპორტის განვითარების საქმეს. ცუდად მოწყობილი სპორტული დარბაზი, საჭირო ინვენტარის ნაკლებობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ახალგაზრდობის სპორტული დონის ამაღლებას. კეთილმოუწყობელია კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

თუმცა, აკადემიის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში არის ნათელი მხარეებიც. აკადემიაში შეიქმნა ხელბურთის კოლექტივი, რომლის სათავეში დგას საქართველოში სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი პოპულარიზატორი მიხაილოვი. ახლახან ვაჟთა გუნდი ლენინგრადს ესტუმრა, სადაც დაამარცხა საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი გუნდი „პოლიტექნიკი“.

ალპინიზმიც, ეს მამაცთა სპორტი, სტუდენტთა საყვარელი სახეობაა. მასში მრავალი ახალგაზრდაა გაერთიანებული.

მაგრამ, ამასთან ერთად, არის სპორტის მთელი რიგი სახეობები, რომლებიც საერთოდ არაა კულტივირებული აკადემიაში (ფარიკაობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა).

საჭიროა თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, რათა აკადემიის სპორტსმენები ჩადგნენ რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა რიგებში.

ზ. ნოდია



შეუფერებელი ბაზები

რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლე მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დასვენების კერაა. ახლა, როცა ყველა კოლექტივი და სპორტსმენი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის ემზადება, რუსთაველ სპორტსმენთა საზრუნავიც დიდია. მაგრამ, სამწუხაროდ, მათს მიზანს ოდნავადაც არ შეეფერება, ხოლო მათ მოთხოვნებს სრულებით ვერ აკმაყოფილებს მათთვის გამოყოფილი სავარჯიშო ბაზები. პატარა, შეხუთულ ოთახში, სადაც სამეცადინოდ თავს იყრის 16-18 სპორტსმენი, ყოვლად შეუძლებელია არა თუ აქტიური ვარჯიში, არამედ... გაძლებაც კი. დარბაზის კედლებიდან მოჟონავს წყალი, არ არის ფანჯრები სინათლისათვის, არ ხდება ჰაერის რეგულარული ცვლა. იატაკის მთელ ფართობს ორი ფიცარნაგი იჭერს, რომლებიც ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ მოვარჯიშეებს დიდი სიფრთხილე მართებთ, რათა ერთმანეთი არ დააზიანონ. ამავე დარბაზშია გასახდელიც. ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ სპორტსმენებს წვრთნის შემდეგ არა თუ შხაპის მიღება, პირის დაბანაც კი უძნელდებათ სათავსოების უქონლობის გამო.

მოკრივე სპორტსმენებს დარბაზთან დაკავშირებით ამდენი საყვედური არა აქვთ, მაგრამ არსებობს სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები. პირველყოვლისა, უნდა ითქვას წყლის უქონლობაზე, საშხაპეების უმოქმედობაზე, გასახდელის მოწესრიგებასა და დარბაზის განათებაზე.

თ. გოგრონიძე

• • •

სურათზე: ასე გამოიყურება ძალოსნობის დარბაზი.

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 12 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „შეჯიბრება მაღალი შედეგებით“, რომელიც ეხებოდა სათხილამურო სპორტში საქართველოს 28-ე ჩემპიონატში დაშვებულ შეცდომებს, კერძოდ, მოთხილამურეთა გუნდის წარმომადგენლის ე. გენდელმანის საქმისადმი გულგრილ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

როგორც ბორჯომის სამრეწველო-საწარმოო ზონის სპორტკავშირის საორგანიზაციო კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კომიტეტის სხდომამ ე. გენდელმანს გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

კალათბურთი

გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრების მორიგი კალენდარული შეხვედრები.

ტარტუში თამაშობდნენ ადგილობრივი „კალევი“ და რიგის სკა. ანგარიშით 57:46 გაიმარჯვეს ესტონელმა კალათბურთელებმა.

კაუნასის „ჟალგირისმა“ თავის მოედანზე მიიღო რიგის ვეფი. გაიმარჯვეს „ჟალგირისის“ სპორტსმენებმა — 66:63.

ლენინგრადი. გათამაშების ლიდერმა, კიევის „სტროიტელმა“ დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 59:49.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სტროიტელი“ კიევი	11	10	1	10
სკა კიევი	10	8	2	8
„დინამო“ თბილისი	8	5	3	5
ცსკა მოსკოვი	8	5	3	5
ვეფი რიგა	9	5	4	5
„ურალმაში“ სვ.	7	4	3	4
„ბურევესტნიკი“ ლდ.	8	4	4	4
„ბურევესტნიკი“ თბ.	10	4	6	4
სკა რიგა	10	4	6	4
„ჟალგირისი“ კნ.	11	4	7	4
„კალევი“ ტარტუ	11	4	7	4
„სპარტაკი“ ლდ.	12	4	8	4
„ჟალგირისი“ ვლ.	9	2	7	2

ტტტ—ნახევარფინალში

8 მარტს ბუქარესტში გაიმართა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი რიგის ტტტ-სა და ბუქარესტის „რაპიდს“ შორის.

როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც გაიმართა რიგაში, მოიგეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 57:27.

ბუქარესტშიც უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 56:42 და მოიპოვეს თასის გათამაშების ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

ცხაკაიას სკოლაში ყოველდღე, როგორც წესი, მოსწავლეთათვის დილის გამამხნევებელი ვარჯიში ტარდება. ამ **სურათზე** სწორედ დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარების მომენტია აღბეჭდილი. ვარჯიშს ატარებს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ვ. ეჯიბია.

ფოტო ვ. ჯაყელისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მოჭადრაკის სახელისათვის

საქართველოს 1963 წლის პირველობა ჭადრაკში

◆

XI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის ლიდერები გურგენიძე და კალატოზიშვილი. ეჭვი არ იყო, რომ მათი პარტია საინტერესო იქნებოდა, ვინაიდან ორივე მოჭადრაკეს არ უყვარს კომპრომისები. მართლაც, პარტია იმდენად შინაარსიანი გამოდგა, რომ იგი ყოველ დიდ ტურნირს დაამშვენებდა.

პარტიის „უვერტიურა" გურგენიძემ ორიგინალურად გაითამაშა. მე-11 სვლაზე პაიკის შეწირვით მან დამუხტა პოზიცია. კალატოზიშვილმა მიიღო გამოწვევა. ოსტატმა განაგრძო ჩანაფიქრი და ხარისხის შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა. მალე მან პაიკთა ცენტრი შექმნა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ კალატოზიშვილმა აამოძრავა მარჯვენა ფრთის პაიკები. იგი თამამად თამაშობდა მოგებაზე, რისთვისაც არც კუ შეიცოდა. მაგრამ გურგენიძემ განმუხტა მდგომარეობა. მას ზედმეტი კუ დარჩა, მაგრამ პოზიცია საყაიმო აღმოჩნდა.

აი პარტიაც:

გ. კალატოზიშვილი-ბ. გურგენიძე

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. f3 0—0 6. კe3 e5 7. მge2 მc6 8. d5 მe7 9. gh h5 10. h3 c6 11. ლd2 b5 12. cb cd 13. მ:d5 მf:d5 14. ed კb7 15. მc3 ეc8 16. კe2 ე:c3 17. bc მ:d5 18. 0—0 ლh4 19. მფh2 hg 20. fg მ:e3 21. ლ:e3 კh6 22. ლg3 ლ:g3+ 23. მფ:g3 f5 24. gf gf 25. ეad1 d5 26. a4 მფg7 27. a5 მფf6 28. a6 კa8 29. c4 d4 30. c5 ეg8+ 31. კg4 კf4 + 32. ე:f4 ef + 33. მფ:f4 fg 34. hg ეb8 35. g5+ მფe6 36. ე:d4 ე:b5 37. ეd6+ მფe7 38. ეh6 ე:c5 39. ეh7+ მფd6 40. ე:a7 ეc4+ ყაიმი.

დიდხანს იბრძოდნენ ჯანოევი და შიშოვი გადამწყვეტი უპირატესობისათვის. მაგრამ ერთმანეთი ვერ დაჯაბნეს და 39-ე სვლაზე დაზავდნენ.

1962 წელს ზუგდიდში საქართველოს პირველობაზე ნონამ მოუგო პარტია იზვოზჩიკოვს. იმ პარტიას არც წლევანდელი პარტია ჩამორჩება ხარისხით. მსოფლიო ჩემპიონმა პარტიაში გამოიყენა სისტემა, რომლითაც დაიწყო ბრძოლა ე. ბიკოვასთან მოსკოვში. აქაც მან სწრაფად გაათანაბრა თამაში და ხელთ იგდო ინიციატივა. იზვოზჩიკოვი შეეცადა აქტიური ოპერაციებით ნონას ყურადღება ლაზიერის ფრთაზე გადმოეტანა, მაგრამ მოჭადრაკე ქალი არ აჰყვა მას. მეფის ფრთაზე პაიკების წინსვლით მან ხელი აღებინა იზვოზჩიკოვს განზრახვაზე. პარტიის ფინალში გაფრინდაშვილმა დაარბია პარტნიორის მეფის დამცველი ლაშქარი.

აი როგორ მოხდა ეს:

ა. იზვოზჩიკოვი-
ნ. გაფრინდაშვილი

1. e4 d6 2. d4 კg7 3. მc3 d6 4. კc4 მf6 5. ლe2 0—0 6. მf3 კg4 7. h3 კ:f3 8. ლ:f3 მc6 9. მe2 e5 10. d5 მb4 11. ლb3 a5 12. c3 მa6. 13. მg3 მe5 14. ლc2 ლd7 15. a4 c6 16. 0—0 cd 17. ed ლc7 18. ეd1 მfd7 19. კb5 f5 20. b4 მa6 21. ლb3 მf6 22. f4 ef 23. კ:f4 მe4 24. კ:a6 ლb6+ 25. მფh2 ba 26. ეac1 მ:g3 27. კ:g3 f4 28. კh4 კe5 29. ეe1 ეae8 30. ეc2 f3+ 31. მფh1 f2 32. ეf1 ლe3 33. ლc4 ეf4 34. კ:b2 ლ:f2 თეთრები დანებდნენ.

ღრმა აზრითაა გამსჭვალული კიკიან-ლომაიას პარტია. 49-ე სვლაზე ლომაიამ გაიმარჯვა. ჩინებულად ითამაშა ენდშპილი არნშტეინმა ბუსლაევთან, რომელიც 43-ე სვლაზე მოიგო.

პირველი გამარჯვება იზეიმა ჭანტურიამ ჩიქოვანთან პარტიაში. ბლაგიძე დამარცხდა ვეტოხინთან. სამი პარტია არ დამთავრებულა.

გუშინ, XII ტურში გურგენიძემ მოუგო იზვოზჩიკოვს, კალატოზიშვილმა — თხელიძეს, ჯინჯიხაშვილმა — არნშტეინს, ბლაგიძემ — კირვალიძეს, ჩიქოვანმა — ვეტოხინს. ყაიმით დამთავრდა ლომაიაჯანოევის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს აქვს 10 ქულა, გ. კალატოზიშვილს — 9 ქულა.

თ. გიორგაძე

6
AMENTHI
9
6

წინ გადამწყვეტი მატჩია

ამბობენ კალათბურთი კოლექტიური თამაშიაო. თუ ეს ასეა, მაშინ მოედანზე მყოფი ხუთივე სპორტსმენის სულისკვეთება ერთ აზრს, ერთ პრინციპს უნდა ემორჩილებოდეს. ჭადრაკში, მაგალითად, ან კრივში, სპორტსმენის მოულოდნელ წარუმატებლობას ზოგჯერ დაბალი სპორტული ფორმით, ან ავადმყოფობით ხსნიან. კალათბურთში შეუძლებელია, რომ გუნდის ყველა წევრი ერთნაირად სუსტ ფორმაში იყოს, ან ყველა ცუდად გრძნობდეს თავს.

თბილისის „დინამოს" კარგა ხანია არ უთამაშია თავის მოედანზე, ამიტომ მოთამაშეთა სპორტული ფორმის შესახებ აზრს ვიქმნიდით პრესის საშუალებით, შეხვედრათა შედეგებით და სპეციალისტთა შენიშვნებით. ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" მოულოდნელ წაგებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გუნდმა შესუსტებული შემადგენლობითაც კი (საკავშირო გათამაშებაში არ გამოდიან ნაკრების წევრები ა. ლეჟავა და ვ. უგრეხელიძე) კარგად ჩაატარა მატჩები და ღირსეული გამარჯვებები მოიპოვა.

ის, რაც გასულ კვირას ვნახეთ თბილისის სპორტის სასახლეში, ვერ იტანს ვერავითარ კრიტიკას ჩვენი საუკეთესო გუნდის მიმართ. აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა წააგო მატჩი მილანის „სიმენტალთან". დამარცხებისაგან, მოულოდნელი ჩავარდნისაგან დაზღვეული არ არის არც ერთი სპორტული კოლექტივი. მითუმეტეს, ბოლო ხანებში სულ უფრო მცირდება განსხვავება ძლიერსა და სუსტ გუნდებს შორის (გაიხსენეთ თუნდაც ცსკა-ს ამახწინანდელი დამარცხება პოლონეთში). აქ მთავარია წაგებული მატჩის ხარისხი, მისი არსი და პროფილი.

არასდროს არ ყოფილა მაყურებელი ასეთი ერთსულოვანი თავის შეფასებაში — „დინამომ" გასულ კვირას გვიჩვენა ყველაზე სუსტი მატჩი თავისი არსებობის ისტორიაში. ძნელია არ დავეთანხმოთ ამ სიტყვებს. გასაოცარი ამ დღეს ბევრი რამ იყო, მაგრამ ყველაზე მეტად თვალს ხვდებოდა მოთამაშეთა საბრძოლო სულის აბსოლუტური დემორალიზაცია. არასდროს არ გვინახავს ჩვენი საუკეთესო გუნდი ასე დაბნეული, ასეთი უხერხემლო და მოდუნებული...

ორმოცი წუთის მანძილზე „დინამოს" ხუთეული მხოლოდ იცვლიდა ადგილს მოედანზე და პასიურად ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას, რომელიც მისთვის არასახარბიელოდ ვითარდებოდა. სხვაგვარად არ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩვენმა დაცვამ ვერაფერი გააწყო „სიმენტალის" მე-9 ნომერთან ტ. ვიტორისთან. რადგან სიტყვამ მოიტანა, რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ საერთოდ დაცვის მიმართ.

„დინამოს" ყოველთვის ჰყავდა მტკიცედ ორგანიზებული და საიმედო დაცვა, რაც გუნდის წარმატებათა მთავარ პირობას წარმოადგენდა. დღეს არ შეიძლება რაიმე სერიოზულ გამარჯვებაზე ფიქრი, თუ აქცენტს მხოლოდ თავდასხმას უკეთებ. მოწინააღმდეგეზე მეტი ბურთის ჩაგდება — ეს ჯერ კიდევ არ არის კალათბურთი. თავდასხმის ყოველი მოქმედება ჰარმონიულ კავშირში უნდა იყოს დაცვასთან.

„დინამოში" დაცვა ყველაზე სუსტი ადგილია. მინაშვილის გარდა ვერც ერთი მოთამაშე ვერ ფლობს დაცვის ელემენტარულ ნორმებს. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩვენი ფარის ქვეშ დაუბრკოლებლად გადიოდნენ პ. ვიტორი და გ. ვიანელო, ფ. პიერი და ფ. სარდანია. სწორედ ამიტომ დაკარგეს ჩვენმა კალათბურთელებმა ორთავე ფარზე ბრძოლის ეფექტურობა.

ფარი — „სიმენტალის", სროლები — „სიმენტალის", საერთო ინიციატივა — „სიმენტალის", დასკვნაც ლოგიკურად კეთდება — შეხვედრა უნდა მოეგო „სიმენტალს".

მატჩის დამთავრების შემდეგ გადავხედეთ ოქმს, რომელმაც მეტად საინტერესო სტატისტიკური ცნობები მოგვცა. საჯარიმო სროლების შესრულების პროცენტი 50-ზე დაბალი იყო („დინამოში" — 30 სროლა, 13—ჩაგდებული ბურთი, „სიმენტალში"—14 სროლა, 12—ქულა), რაც მიუტევებელია ისეთი მატჩისათვის, სადაც ყველაფერი 5-მა ქულამ გადაწყვიტა. კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელია შორიდან სროლების სიზუსტე და, რაც ყველაზე მეტად ხვდებოდა თვალს, არასწორი გადაცემები.

შევაჯამეთ ყველაფერი ზემოთქმული, გაითვალისწინეთ ანგარიშში სხვაობა—65.70 (37:38) და ნახავთ, რომ თავისი თამაშის ყველაზე უფრო ცუდ ვარიანტშიც კი შეეძლო „დინამოს" გამარჯვების მოპოვება, მორალურად რომ არ გამტყდარიყო გუნდი.

იტალიელი ჟურნალისტები თვლიან, რომ „სიმენტალი" სუსტად თამაშობს სხვის მოედანზე, ამაში მათ ვერ დავეთანხმებით. გუნდის მწვრთნელის ჩეზარე რუბინის (სხვათა შორის იგი წარსულში ცნობილი წყალბურთელი იყო, 1948 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი) აღიარებით „სიმენტალმა" თბილისში ჩაატარა თავისი საუკეთესო შეხვედრა. ეს უფრო ჰგავს სიმართლეს. მაგრამ ჩვენ ისიც გვწამს, რომ „დინამო" გაცილებით ძლიერად ითამაშებს 14 მარტს მილანში. 5-ქულიანი განსხვავება ბოლოსდაბოლოს არაფერს ნიშნავს. თბილისის „დინამო" უფრო ძნელი მდგომარეობიდანაც კი გამოსულა წარმატებით.

ნ. ბუბუშვილი

სურათზე: მილანის „სიმენტალის" ყველაზე აგრესიული თავდამსხმელი პ. ვიტორი (რომელმაც თავის გუნდს 26 ქულა მოუტანა) გადის თბილისელთა ფარქვეშ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

1963 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

◆

ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში — კაუნასში, რიგაში, ტალინში, დუშანბესა და თბილისში დაიწყო 1963 წლის პირველობის ფინალური შეჯიბრებები ხელბურთში. თბილისის ზონის შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 4 ქალთა და 4 ვაჟთა გუნდს, მაგრამ იმის გამო, რომ აშხაბადის კოლექტივები არ ჩამოვიდნენ, ვაჟთა შორის ერთმანეთს ფინალში გასვლისათვის ეცილებოდნენ 1962 წლის ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკი", ბაქოს „დინამო" და ერევნის „სპარტაკი". ფინალში გასვლისათვის ქალთა გუნდებს შორისაც 3 კოლექტივი იბრძოდა: ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, ბაქოს „ლოკომოტივი" და თბილისის „განთიადი".

* * *

ქალთა გუნდების ტურნირის პირველ დღეს თბილისის „განთიადი" შეხვდა ბაქოს „ლოკომოტივის" გამოცდილ კოლექტივს. თავიდანვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა ძნელი იქნებოდა, მაგრამ მასპინძლები იმდენად უსუსურნი აღმოჩნდნენ, რომ თამაშის ბოლოს ტაბლოზე მონიშნული ბაქოელთა გამარჯვება ანგარიშით 14:2 (1:6) ზედმეტ კომენტარებს აღარ საჭიროებს. თითქმის იგივე განმეორდა მეორე დღესაც: ამჯერად მასპინძლები ჩერკასკელმა სტუმრებმა „იმსხვერპლეს" — 11:3 (3:6). უკვე მეორე წელია, რაც ტრადიციად დამკვიდრდა ხელბურთელთა (7:7) საკავშირო ჩემპიონატების ჩატარება და მეორე წელია თბილისელი ქალები ფინალის მიღმა რჩებიან. პირველად ეს მოუვიდათ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელბურთელებს, ახლა კი განთიადელებს. ეს გარემოება იმისაკენ მიგვინიშნებს, რომ რესპუბლიკაში ქალთა ხელბურთის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში ბევრი რამ რიგზე არ არის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროა ქმედითი ზომების მიღება.

ფინალისტები დასკვნით ტურამდე გამოვლინდნენ

ახლა ფინალისტების შესახებ, რომლებმაც ჯერ კიდევ გათამაშების III ტურის წინ მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ბრძოლის უფლება. ესენი არიან ბაქოს „ლოკომოტივისა" და ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივები. III ტურში მათ შორის მატჩს უნდა გაერკვია, თუ ვინ შევიდოდა ფინალში 2 ქულით და ვინ 0 ქულით. ამ დასკვნით ტურში გაიმარჯვა ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა — 8:5 და ორი „ოქროს" ქულით შევიდა ფინალში.

* * *

ვაჟთა ტურნირზე ერევნის სპორტსმენებს თბილისელ განთიადელთა ხვედრი ხვდათ წილად. პირველ ტურში მათ მწარე დამარცხება განიცადეს ბაქოს „დინამოსთან" შეხვედრაში — 10:28 (3:13), მეორე ტურში კი მათ „აქტივს" თბილისის „ბურევესტნიკისაგან" კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება შეემატა — 9:34 (4:15). აქაც საკომენტარო არაფერია. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ჩამოვთვალოთ თბილისელთაგან ვინ რამდენი გოლი გაიტანა: ცერცვაძემ — 10, კოპალეიშვილმა — 7, ანთაძემ — 6, ფხაკაძემ — 4, ექსეულიძემ და კარტოზიამ — 3-3, მაჭავარიანმა —1.

მესამე, დასკვნით ტურში, ისევე როგორც ქალთა შეჯიბრებაში, ერთმანეთს ფინალისტები — თბილისის „ბურევესტნიკისა" და ბაქოს „დინამოს" ხელბურთელები შეხვდნენ. ამ მატჩშიც ბრძოლა ფინალში 2 ქულით გასვლისათვის გაიმართა.

თბილისის „ბურევესტნიკმა" ბაქოს „დინამოსთან" დამარცხებით (11:13) სწორედ ეს ორი „ოქროს" ქულა დაკარგა. თბილისელთა რიგებში ამ დღეს მთლიანად დარღვეული იყო ურთიერთგაგება, განსაკუთრებით ცოდავდა ამაში ანთაძე, თუმცა არც პარტნიორები გამოირჩეოდნენ შეთანხმებული მოქმედებით. მათ შორის მხოლოდ ცერცვაძე იყო ასე თუ ისე შედეგიანი, ხოლო დანარჩენები სრულიად ვერ ახერხებდნენ გადამწყვეტი დარტყმების შესრულებას. თბილისელთა მეკარის აბაიშვილის თავგანწირული თამაში რომ არა, „ბურევესტნიკი" ბურთების ძალზე დიდი სხვაობით წააგებდა.

ჯ. ენუქიძე

* * *

ტალინი. (ჩვენი სპეც. კორესპ.). ტალინის ზონაში ქალთა გუნდების I ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია: მოსკოვის „ლუჩმა" გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა კიშინიოვის „მოლდოვა" — 26:1, ხოლო ტალინის „კალევმა" — ვილნიუსის „ჟალგირისი" — 18:4. ვაჟთა გუნდების ბრძოლა კი ასე წარიმართა: კიევის „ბურევესტნიკმა" მოუგო ლენინგრადის „ტრუდს" — 19:3, ტირასპოლელებმა კი ტალინის „კალევს" — 27:4.

თ. ჩხარტიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

დინამოელთა დამარცხება

გუშინ, ლესელიძეში თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა კოლექტივმა მორიგი, მეორე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ამჯერად თბილისელთა მეტოქე იყო მინსკის „დინამო". თამაშის პირველი ნახევარი ფრედ — 1:1 დამთავრდა. მეორე ტაიმში მინსკელებმა დამატებით 2 ბურთი გაიტანეს და საბოლოოდ მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1.

სკოლა და მისი მომავალი

„მოცურავეებო, დავეწიოთ დროს!“ — ამ ლოზუნგმა ჩვენს ქვეყანაში თავი იჩინა რომის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ. ცხოვრებამ ცხადყო, რომ ცურვის მწვრთნელთა ძველი მეთოდები აღარ იყო საკმარისი საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო სარბიელზე არსებული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა, ცურვის ფედერაციამ ანალიზი გაუკეთეს რა საბჭოთა სპორტსმენების წარუმატებლობათა მიზეზებს, დასახეს სათანადო ღონისძიებანი. სპეციალურ დადგენილებაში მიუთითეს მუშაობის გარდაქმნის გზებსა და მეთოდებზე. კერძოდ იმაზე, რომ აუცილებელი გახდა ცურვის სწავლებაში რაც შეიძლება ბავშვთა მეტი რაოდენობით მიზიდვა. მათ წამოაყენეს წინადადება: ბავშვებისათვის გამოყოფილიყო საუკეთესო ბაზები, შერჩეულიყო ხელსაყრელი დრო, ყველა დიდ ნაგებობასთან შექმნილიყო ბავშვთა ცურვის სკოლები.

თბილისში უკვე შეიქმნა და მუშაობას შეუდგა თბილისის განათლების განყოფილებისა და „ნორჩი დინამოელის“ სკოლები. სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ გვინდა ვილაპარაკოთ ამ წერილში.

პირველ რიგში სკოლის წინაშე იდგა ცურვის სწავლებაში მასობრივად ჩაბმის ამოცანა. ჯგუფების დაკომპლექტება მალე დამთავრდა, რამდენადაც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა ცურვის შესწავლის მსურველი. სკოლაში მომცადინეთა რიცხვმა 900-ს მიაღწია. ასე რომ, ყოველდღიურად აუზი 400-მდე ბავშვს უწევს მომსახურებას.

ცხადია, ბავშვთა ასეთ რაოდენობასთან მუშაობა იოლი არაა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ, რაც უფრო მეტია ცურვის შესწავლის მსურველი, შემდეგში მით უფრო ადვილი იქნება მათგან პერსპექტიულთა შერჩევა. ამის შესახებ კარგად იციდნენ მწვრთნელებმა და ენერგიის დაუზოგავად მოეკიდნენ საქმეს. სკოლაში დამწყებთა სწავლებას 10 მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ისინი ძირითადად წარსულში კარგი მოცურავენი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები თ. და მ. მძინარიშვილები, მ. ტატიშვილი, რ. ცომაია, ა. სულავა, ლ. სმირნოვა, ი. ნათაძე, ე. შავდია და მ. როდინი არიან. სკოლას ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. იოაკიმიდი.

პერსპექტიულ ბავშვთა შესარჩევი პირველი ღონისძიება გაიმართა ამას წინათ, როცა 6 დღეს გრძელდებოდა ბავშვთა სპორტული სკოლების საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება. 502 ნორჩი მოცურავე (მათგან 130 გოგონა იყო) ცდიდა ძალებს საწყლოსნო ბილიკზე. ბევრისათვის ეს იყო პირველი შეჯიბრება. უმცროსი ასაკის (12 წლამდე) ბავშვები ძალებს ცდიდნენ ერთი ან ორი სტილით 25 და 50 მეტრზე, 13-14 წლისანი — 100, 200 და 400 მეტრზე.

გოგონათა შორის თავი ისახელეს ნ. ქართველიშვილმა, გ. გაბრიელოვამ, ლ. ასანიშვილმა, ლ. ქარქუსაშვილმა, ზ. ლიუბჩენკომ, რომლებმაც შეასრულეს მესამე თანრიგის ნორმატივი. ჭაბუკთა შორის მესამე თანრიგი მოიპოვეს ზ. გაბრუნდაშვილმა, დ. ამაშუკელმა, ა. ხეხტოიანმა, ბ. ჩიქმა, ჯ. ნიშნიანიძემ, გ. ნოზაძემ და სხვ.

15-16 წლის ბავშვთა შორის ყველამ შეძლო სათანრიგო მოთხოვნების შესრულება, სულ სტარტზე გამოსულთაგან 50-მა აჩვენა ჭაბუკთა პირველი თანრიგის, 38-მა — მოზარდთა მესამე, 9-მ — მეორე და ერთმა — პირველი თანრიგის შედეგი. საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს (25-მეტრიანი აუზისათვის) ა. იოაკიმიდიმ 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 5.15,0, ს. კრავცოვმა — 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.21,0, და გუნდმა ესტაფეტაში 4×200 მ-ზე თავისუფალი სტილით — 9.50,4.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: ლ. იოაკიმიდი გადასცემს ჯილდოებს წარჩინებულებს; პირველი სიგელი გამარჯვებისათვის.



შავი კონტინენტი იღვიძებს

შავი აფრიკა... ჩვენი პლანეტის ვეებერთელა კონტინენტი. მხატვრების წარმოდგენაში იგი ახალგაზრდა ტიტანია, რომელმაც ეს-ეს არის, რაც გაიღვიძა და მრისხანედ ანგრევს კოლონიალური მონობის ბორკილს. დღითიდღე იზრდება, ვაჟკაცდება ტიტანი. შავი აფრიკა იწყებს ახალ ცხოვრებას, თავისი ნებით, თავისი სურვილით.

თუ აქამდე მსოფლიოს სპორტულ რუკაზე ეს კონტინენტი წარმოდგენილი იყო თეთრ ლაქებად, დიადი გაღვიძების შემდეგ, სულ უფრო ხშირად ვხვდებით მუქ წერტილებს საერთო თეთრ ფონზე. ეს არის აფრიკელთა პირველი ნაბიჯები სპორტში, ესაა განის მოკრივის ქ. კვარტეის (რომის ოლიმპიადის პრიზიორის), მძლეოსნის მ. ახეიას (სიგრძეზე ხტომაში 8 მეტრი), ეთიოპელი მარათონელის ბ. აბებეს (ოლიმპიური ჩემპიონი), ა. რხადის (ოლიმპიური ვერცხლის მედალი მარათონში) პირველი წარმატებები, იმ გამარჯვებათა სათავალავი, რომელსაც შავი კონტინენტი დიდხანს ინახავდა პოტენციაში.

გვინეელი ან ტუნისელი სპორტსმენების რა ბრალია, რომ მათი გვარები არ არის მსოფლიოს უმაღლეს მიღწევათა ცხრილებში, სახელოვან ჩემპიონთა სიებში. კოლონიალური მონობისაგან განთავისუფლებამდე არავის აინტერესებდა დაბეჩავებული ერების ჯანმრთელობა და ფიზიკური სრულყოფა.

მაგიდის ჩოგბურთი აფრიკაში არ არის სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობა. ფეხბურთს, კრივს და მძლეოსნობას გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს და მაინც, თუნდაც მაგიდის ჩოგბურთის მაგალითით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ ტემპებზე, როგორითაც ვითარდება სპორტი ამ კონტინენტზე.

მეორე მსოფლიო ომამდე მაგიდის ჩოგბურთის არსებობის შესახებ მხოლოდ ეგვიპტეში იცოდნენ. სხვათაშორის, ეგვიპტე იყო პირველი არაევროპული ქვეყანა, სადაც გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო პირველობა. ეს მოხდა კაიროში 1939 წელს.

აფრიკაში მაგიდის ჩოგბურთის განვითარების თარიღად მიჩნეულია 1961 წელი, როდესაც შეიქმნა სრულიად აფრიკის ფედერაცია სპორტის ამ სახეობაში. სწორედ ამ წელს გაიმართა კონტინენტის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7-მა სახელმწიფომ: არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, განამ, ნიგერიამ, სუდანმა, კენიამ, უგანდამ და ტანგანიკამ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილების უმეტესობა მოიპოვეს ეგვიპტელმა სპორტსმენებმა, რომლებსაც დიდი შეჯიბრებების ერთგვარი გამოცდილება მიღებული აქვთ და რომელთაც ავარჯიშებდა გამოცდილი იუგოსლაველი ჩოგბურთელი ხარბუდი..

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ პირველი შეხვედრა უმაღლეს დონეზე არ იყო დაზღვეული სიურპრიზებისაგან. ასე მაგალითად, ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა განის წარმომადგენელმა ე. კუაიემ, რომელიც ჩემპიონატისათვის „უცხოური დახმარების“ გარეშე მოემზადა. საკმაოდ მაღალი ტექნიკა აჩვენეს ნიგერიელმა სპორტსმენებმაც.

ტურნირმა პოპულარული გახადა მაგიდის ჩოგბურთი აფრიკაში, ეს პირველ რიგში დაეტყო სრულიად აფრიკის ფედერაციას, რომლის წევრთა რაოდენობა ოცამდე გაიზარდა. აფრიკამ გაუგო გემო მაგიდის ჩოგბურთს, და აი, მან გადაწყვიტა სცადოს თავისი ძალები მსოფლიოს სარბიელზე. როგორც ცნობილია, აპრილში პრაღაში ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი განაცხადეს აფრიკის შემდეგმა ქვეყნებმა: არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, განამ, ნიგერიამ, ალჟირის რესპუბლიკამ და მაროკომ.

რა თქმა უნდა, ძნელი სავარაუდოა ამ ჩემპიონატში დებიუტანტთა წარმატება, მაგრამ თუ გავიხსენებთ ჩინელთა მაგალითს (ისინი საერთაშორისო სარბიელზე მხოლოდ 1952 წელს გამოჩნდნენ, დღეს კი ჩინეთს იაპონიასთან ერთად წამყვანი პოზიცია უკავია მაგიდის ჩოგბურთში), შეიძლება მოხდეს რაიმე სენსაცია. შეჯიბრება ხომ სიურპრიზების გარეშე წარმოუდგენელია?

ფეხბურთის ქრონიკა

ტუნისის ეროვნულმა ნაკრებმა თავის დედაქალაქში მიიღო კუვეიტის ნაკრები გუნდი. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამ დღეებში ორი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა. პირველი თამაში კასაბლანკაში მაროკოს ნაკრებთან უნგრელებმა მოიგეს — 2:1. მეორე შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ჰამბურგთან“, რომელიც გერმანელთა მინდორზე გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეტად საინტერესო გამოდგა იტალიის ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები. გათამაშების ლიდერმა „ინტერნაციონალემ“ ანგარიშით 0:1 წააგო „ატლანტასთან“, მაგრამ ამავე ანგარიშით დამარცხდა მისი მთავარი მეტოქე და კონკურენტი „იუვენტუსიც“, რომელსაც მისივე მინდორზე მოუგო „ტორინომ“. ლიდერებს დარჩათ ადრინდელი ქულები: „ინტერნაციონალეს“ — 35, „იუვენტუსს“ — 34. მათ მჭიდროდ მიუახლოვდა „ბოლონია“ (32 ქულა), რომელმაც ბოლო ტურში გამარჯვებას მიაღწია.

საჭადრაკო სამყაროში

ჰოლანდია. ჰოლანდიისა და ინგლისის მოჭადრაკეთა ამხანაგური ტრადიციული მატჩი გაიმართა 10 დაფაზე ორ წრედ. მატჩი მოიგეს ინგლისელებმა ანგარიშით 11,5:8,5. პირველ დაფაზე ახალგაზრდა ინგლისელი ოსტატი პენროუზი შეხვდა გროსმაისტერ ეივეს და ოსტატ ვან შელტინგას. პირველს მან მოუგო, ხოლო მეორესთან დამარცხდა. ჰოლანდიის ჩემპიონმა ქალმა ფრიკენმა 1,5 ქულა მოაგროვა ბრიუსთან.

„დალონ-ტურნირში“, რომელიც ქალთა საერთაშორისო ტურნირს წარმოადგენს, პირველი იყო ფრიკენი (5,5 ქულა 7-დან). გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩნენ იუგოსლაველი იოვანოვიჩი და ფრანგი შოდე დე სილანი.

საფრანგეთი. პარიზში გარდაიცვალა უხუცესი გროსმაისტერი ო. ბერნშტეინი, რომელიც მ. ჩიგორინის, ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, ა. ალიოხინის დროინდელი მოჭადრაკე იყო.

იუგოსლავია. 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი იუგოსლაველი გროსმაისტერი და მეცნიერი მილან ვიდმარი.

ა შ შ. სან-ანტონიოში მოეწყო ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი, რომელშიც 144 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა შვეიცარული სისტემით (12 ტური). ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ახალგაზრდა მედნისმა (10 ქულა). მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გროსმაისტერები ბენკო და ლომბარდი.

გ ფ რ. ბამბერგში გაიმართა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკებს შორის იუგოსლაველმა პარმამ — 7,5 ქულა. მეორე იყო გერმანელი ბალასი — 7 ქულა.

АПН მოგვითხრობს

ორმაგი გამარჯვება

უცნაური შემთხვევა მოხდა ლუცერნაში (შვეიცარია) ჩატარებული მძლეოსნური კროსის დროს. მაშინ, როცა მორბენლები უახლოვდებოდნენ ფინიშს, ქურდი შეიპარა გასახდელში, მოიტაცა ერთ-ერთი სპორტსმენის ჩანთა და გაიქცა. ჩანთის პატრონმა, შვეიცარიის ჩემპიონმა 5 000 მეტრზე რბენაში შალერმა შენიშნა ეს. იგი უძლიერესი ბიძგით წინ გაიჭრა, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და გამოედევნა ქურდს. „ასე იქნა მოპოვებული ორი გამარჯვება... არასდროს



არ უნდა გაქურდო ჩემპიონი, მითუმეტეს გრძელ დისტანციაზე მორბენალი“, — წერს შვეიცარიის პრესა.

რედაქტორი ი. უზულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07833